

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მოწვევის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის 11 იანვრის  
სხდომის ოქმი №1**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ბაინდუროვი.

**კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხი:**

მოისმინეს:

1. „შპს საფეხბურთო კლუბის „მცხეთა“-ს ლიკვიდაციაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სახელზე შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 10 იანვრის N06/290 მომართვა, რომლითაც ითხოვენ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „შპს საფეხბურთო კლუბის „მცხეთა“-ს ლიკვიდაციაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 106<sup>1</sup> -ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე „მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას“.

**კენჭისყრა:**

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრიდან:

საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემაზე თავი შეიკავა: გურამ ანსიანმა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა ზ/აღ განკარგულების პროექტზე და ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილულ იქნას საკრებულო სხდომაზე, ვინაიდან პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 106<sup>1</sup> - ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და და სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.


კომისიის თავმჯდომარე: 


გიორგი ზაინდუროვი


კომისიის წევრები:

თეიმურაზ მირესაშვილი 

თინა ხუბაშვილი 

~~მიხეილ სტეფნიაშვილი ~~

ნინო ლაზვიაშვილი 

ჯონდო მუზაშვილი 


გურამ ანსიანი 

მირიან პავლიაშვილი 

გიორგი სარდლიშვილი 

თამაზ ფოლოდაშვილი 

თემირ ლელუაშვილი 

გიორგი ჭინჭარაული 

11.01.2017წ